# ფანტაზია 2000





## ფოტოსკანდინავიური ქმნილება

1 ყოფ. პრეზიდენტს ერქვა

2 როგორ დგას?

საიდან მოდის?!

ფოტო №2

ერთაოზ-ის მამა

ხელოვ-ნური ქსოვილი

სიმ-დიდრე

ძაღლი

ფოტო №6

ფოტო №4

ირანი

ინფორ-მაციის ერთეუ-ლი

ქარი შეიძ-ლება იყოს

(....)-დე ჟანეირო

უღმე-რთობა

სტალონე

საფლავი

ახალი

ტალანტი

შვარცე-ნეგერი

იტალ. რეჟის-ორი ..... სკოლა

8-99

ჯადოს-ნობა

ნუშის ლი-ქიორი

უპფოთ-ველი ანუ როგორი

ედგარ ალან....

დიდი მულტიპ-ლიკა-ტორი

ორი ერთიანი

ფოტო №3

რუსი მსახ-იობი ერასტ...

პოეტი (.....) ჩილა-ჩავა

შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა

ოფლი

მსაჯი

შუა აზიის ზღვა

ტრანს-პორტს აქვს

გემების შენა-ერთი

ბოჩოლა

მშვი-დობა

დიდი კარდი-ნალი

ჩვენი ანსა-მბლი

უსხო-პლანე-ტელი

ფოტო №1

შუქ-ფარი

ზღაპრის ცხენი

პლასტი

არაბი ჭაბუკი

ფოტო №5

მეგრუ-ლი მოფე-რება

ვაჩნაძე

ერთნუ-ლიანი

განსჯა

უდანაშ-აულობა

ნიშანი ქვ.მეომ რის სამოსი

ფესტი-ვალი 2 წელში ერთხელ

ფანჯი-კიძის მეშვიდე

*დღევანდე-ლი ნომ-რიდან ვიწყებთ ინტელექ-ტუალთა ტურნირის, „ალო. ფანტაზი-ის“ მესამე, დასკვნით ეტაპს, რომელიც გამოავ-ლენს 2000 წლის გამარჯვე-ბულს. მიიღეთ მონაწ-ილეობა ჩვენს ასპარე-ზობაში!*




3 დაპირისპირება




4 კინოჟანრი



5 პროფესია



6 გვარი

**ატარი** - მარცვლეულის საწყაო ოდიშში.
**ატაქსია** - ნებისმიერ მოძრაობათა შეთანხმებულობის დარღვევა.
**ატაშატე** - ატაშეს საგამგებლო.
**ატაშე** - ამა თუ იმ დარგის სპეციალისტ-კონსულტანტი დიპლომატიურ მისიასთან.
**ატაშე-კეისი** - პატარა ბრტყელი ჩემოდანი დოკუმენტების გადასატანად.
**ატაჰუალპა** - პერუს ინდიელთა ტომის, ინკების მმართველი XVI ს.
**ატბარა** - ქალაქი და მდინარე სუდანში.
**ატელანა** - ხალხური კომედიის ჟანრი ძველ რომში.
**ატელიე** - სახელოსნო (მხატვრის, ფოტოგრაფის, მკერავის და ა.შ.)
**ატელექტაზი** - ფილტვის ქსოვილის დაჩუტვა.
**ატენი** - 1) სოფელი გორის რ 2) ქალაქი ფეოდალურ საქართველოში, ატენის ხეობაში.
**ატენიუატორი** - მოწყობილობა, რომლის დანიშნულებაა დენის ძალის, ელექტრული ძაბვის, ელ.მაგნიტური რხევების დაწევა.
**ატენტატი** - სიცოცხლის ხელყოფა პოლიტიკურ ნიადაგზე.
**ატერბუმი** პიერ დანიელ ამადეუს - XVIII ს შვედი პოეტი.
**ატერი** (ატერზეე, კამერზეე) - ტბა ალპებში (ავსტრია).
**ატესტატი** - მოწმობა სასწავლებლის დამთავრების შესახებ.
**ატესტაცია** - ვისამე ოფიციალური წერილობითი დახასიათება.
**ატვუდი** ტომას - XIX ს დასაწ. დიდი ბრიტანეთის პოლიტ. მოღვაწე.
**ატიკა** - ისტ. ოლქი ძველ საბერძნეთში.
**ატიკი** - ნაგებობის დამაგვირგვინებელ კარნიზზე დაშენებული კედელი.
**ატილა** (ეცელი) - ჰუნების წინამძღოლი V ს.
**ატიმია** - ძვ. საბერძნეთში მოქალაქეობის სრული ან ნაწილობრივი ჩამორთმევა.
**ატიპია** - არატიპიურობა, ნორმიდან გადახრა.
**ატისი** - ბუნების ფრიგიული ღვთაება.
**ატიტიუდი** - კლასიკური ცეკვის ერთ-ერთი პოზა.
**ატიშადუ** (ყოფ. ვარდისუბანი) - სოფელი ოჩამჩირის რ
**ატიციზმი** - მეტყველების დახვეწილობა და ინტელექტუალური ხატოვნება.
**ატკარსკი** - ქალაქი რუსეთში, სარატოვის ოლქში.
**ატკვერი** - უღელტეხილი მესტიისა და ლენტეხის რაიონებში.
**ატლანთროპი** - აფრიკაში აღმოჩენილი უძველესი ნამარხი ადამიანი.
**ატლანტა** - ქალაქი აშშ-ში, ჯორჯიის შტატი.
**ატლანტი** - 1) ზევსისაგან დასჯილი, მრავლის მომთმენი გოლიათი ძვ. ბერძნ. მითოლოგიაში. 2) (არქიტ.) კაცის ქანდაკება, რომელიც ჩვეულებრივ მიდგმულია კედელზე.
**ატლანტიდა** - ატლანტის ოკეანეში ოდესღაც არსებული ნახევრადმითიური მატერიკი ან კუნძული.
**ატლანტიკ-სიტი** - ქალაქი აშშ-ში, ნიუ-ჯერსის შტატი.
**ატლანტოლოგია** - ატლანტიდის პრობლემათა შემსწავლელი მეცნიერება.
**ატლასი** - 1) გეოგრაფიული რუკების კრებული; 2) ქსოვილის სახეობა. 3) მთები აფრიკაში.
**ატლეტიკი** (მადრიდი) - ესპანეთის საფეხბურთო კლუბი.
**ატლეტიკო** (ბილბაო) - ესპანეთის საფეხბურთო კლუბი.
**ატმომეტრი** - ხელსაწყო წყლის აორთქლების სიჩქარის გასაზომად.
**ატმოსფერო** - 1) ჰაერის გარსი, რომელიც დედამიწას არტყია გარს. 2) ზოგადად - გარემო.
**ატო...** - ფიზიკური სიდიდის ერთეულის სახელწოდების თავსართი.
**ატოლი** - 1) ღიმის გამსხვილებული ფესვი. 2) რგოლისებრი მარჯნის კუნძული, რომლის შუაშიც მოქცეულია ლაგუნა.
**ატომი** - ქიმიური ელემენტის უმცირესი მაწილაკი.
**ატომიზატორი** - ხელსაწყო სითხის წვრილად გასაფრქვევად.
**ატომიზმი** - იგივე ატომისტიკა.
**ატომისტიკა** - მატერიალური მოძღვრების განშტოება.
**ატონი** - ძველეგვიპტური მზის ღვთაება.
**ატონია** - ორგანიზმის ქსოვილებისა და კუნთების მოდუნება.
**ატორნეი** (ატორნი) - ანგლოსაქსურ ქვეყნებში: ამა თუ იმ პირის წარმომადგენელი, ნდობით აღჭურვილი პირი.
**ატოცი** - სოფელი ქარელის რ
**ატოცობა** - გიორგობაქვაშვეთობა, წმ. გიორგისთან დაკავშირებული რელიგიური დღესასწაული.
**ატრატო** - მდინარე კოლუმბიაში.
**ატრაქტანტი** - ბუნებრივი ან სინთეზური ნივთიერება, რომელიც ცხოველებს იზიდავს.
**ატრაქცია** - (გეოლ.) შვეულის გადახრა რაიმე მძიმე მასის მიზიდულობის ძალით. (ლინგვ.) წინადადებაში სიტყვათა შეწყობა არა გრამატიკული კანონების, არამედ აზრობრივი მნიშვნელობის მიხედვით.
**ატრაქციონი** - 1) საცირკო ან საესტრადო სანახაობის ეფექტური ნომერი; 2) სახალხო სეირნობების ადგილებში მოწყობილი გასართობები.
**ატრე** პრაჰლად კეშავ - XX ს ინდოელი მწერალი.
**ატრევსი** - ძვ.ბერძნ მითოლოგიიის გმირი, ტროას ომის გმირების აგამემნონისა და მენელაეს მამა.
**ატრია** - წვრილად დაჭრილი თხელი ცომის ნაჭრები, რძეში ან წყალში მოხარშული.
**ატრიბუტი** - 1) (მითოლოგიაში) საგნობრივი ნიშანი, რომელიც ითვლებოდა ღმერთთა შეუცვლელ საკუთრებად. 2) ზოგადად - შემადგენელი ნაწილი რისამე.
**ატრიბუტივი** (ლინგვ.) - თვისების აღმნიშვნელი, განმსაზღვრელი სიტყვა.
**ატრიბუცია** - მწერლობისა და ხელოვნების ანონიმურ ნაწარმოებთა ავტორის დადგენა.
**ატრიუმი** - ძვ.რომში საცხოვრებელი სახლის შიგნითა ეზო.
**ატროპატენა** - აზერბაიჯანის ძვ. ბერძნული სახელწოდება.
**ატროპინი** - შხამიანი ნივთიერება, ალკალოიდი.
**ატროფია** - სხეულის რომელიმე ორგანოს გამოფიტვა და დაკნინება.
**ატუსპარია** პედრო პაბლო - მემამულეთა წინააღმდეგ აჯანყებულ ინდიელ გლეხთა ხელმძღვანელი პერუში.
**აუ** - გაკვირვების გამომხატველი შორისდებული.
**აუა** - ძაღლი ბავშვის ენაზე.
**აუალიცა** - სოფელი გუდაუთის რ
**აუარება** - ძალიან ბევრი.
**აუგი** - საძრახისი რამ.
**აუგმენტაცია** - მომატება, გაზრდა, გაძლიერება.
**აუგრაბისი** - ჩანჩქერი მდინარე ორანჟზე, აფრიკა.
**აუგსბურგი** - ქალაქი გერმანიაში, ბავარიის მხარე.
**აუდი** - 1) ისტ. ოლქი ინდოეთში. 2) გერმანული წარმოების მსუბუქი ავტომობილი. 3) იაკობუს იოჰანეს - XX ს ჰოლანდიელი არქიტექტორი.
**აუდენარდე** - ქალაქი ბელგიაში, აღმ. ფლანდრია.
**აუდიენცია** - ოფიციალური მიღება მაღალჩინოსანი პირის მიერ.
**აუდიოლოგია** - მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს სმენის დაქვეითებისა და სიყრუვის გამომწვევ მიზეზებს.
**აუდიომეტრი** - ადამიანის სმენის გამოსაკვლევი ხელსაწყო.
**აუდიტი** - ქონების შემფასებელი პირი.
**აუდიტორია** - 1) სალექციო დარბაზი; 2) ლექციის მსმენელები.
**აუდიფონი** - ხმის გამაძლიერებელი მიკროფონის მქონე სასმენი აპარატი.
**აუეზოვი** მუხთარ - XX ს ყაზახი მწერალი და მეცნიერი.
**აუენბრუგერი** ლეოპოლდ - XVIII-XIX სს ცნობილი ავსტრიელი ექიმი.
**აუერბახი** ბერთოლდ - XIX სს გერმანელი მწერალი და პუბლიცისტი.
**აუერმანი** ნადია - პოპულარული ტოპ-მოდელი.
**აუერი** ლეოპოლდ - XIX-XX სს უნგრელი მევიოლინე.
**აუერსი** არტურ იულიუს გეორგ ფრიდრიხ - XIX-XX სს გერმანელი ასტრონომი.
**აუერშტედტი** - ქალაქი გერმანიაში.
**აუზი** - ხელოვნური წყალსატევი.
**აული** - კავკასიის მთიელთა სოფელი.
**აურა** - ეპილეფსიის ან ისტერიის წინმსწრები სიმპტომები.
**აურანგზები** - დიდ მოგოლთა იმპერიის (ინდოეთი) მმართველი XVII-XVIII სს.
**აურაცხელი** - ძალიან ბევრი.
**აურელია** - უხერხემლო ცხოველი სციფოიდურთა კლასისა.
**აურელიანი** პეტრე - XIX-XX სს რუმინელი ეკონომისტი.
**აურეომიცინი** - ანტიბიოტიკი, რომელსაც ქმნიან სხივადი სოკოები.
**აურეუსი** - რომაული ოქროს მონეტა რესპუბლიკის უკანასკნელ წლებში.
**აურზაური** - ალიაქოთი, შეხლა-შემოხლა.
**აურიკალური** - (მედიც.) ყურთან დაკავშირებული, ყურისა.
**აურიპიგმენტი** - ოქროსფერი, იშვიათი ნარინჯისფერი მინერალი.
**აუსგეირსონი** აუსგეირ - XX ს ისლანდიის სახელმწ. მოღვაწე.
**აუსეკლისი** (მიკელის კროგზემისი) - XIX ს ლატვიელი პოეტი.
**აუსკულტაცია** - ადამიანის ან ცხოველის შინაგანი ორგანოების გამოკვლევის მეთოდი.
**აუსპიციუმი** - ძვ.რომში მკითხაობა ფრინველთა ფრენის მიხედვით.
**აუსტენიტი** - ფოლადისა და თუჯის ერთ-ერთი სტრუქტურული შემდგენი.
**აუსტერლიცი** (ახლანდელი სლავკოვი, ჩეხეთი) - 1805 წლის ნაპოლეონისა და რუსეთ-ავსტრიის გაერთიანებული ჯარების ბრძოლის ადგილი.
**აუსტრია** - ავსტრიის საფეხბურთო კლუბი (ვენა).
**აუტანელი** - ვერგასაძლები.
**აუტბორტი** - კიდური ძრავა, ნავი, რომელსაც ასეთი ძრავა აქვს.
**აუტბრიდინგი** - ერთი ჯიშის, მაგრამ არა ახლომონათესავე ცხოველების შეჯვარება.
**აუტი** - ბურთის თამაშგარეთა მდგომარეობა სპორტულ თამაშებში.
**აუტო** - შუა სს ესპანეთსა და პორტუგალიაში ერთმოქმედებიანი რელიგიური წარმოდგენა.
**აუტობანი** - ავტოსტრადა.
**აუტოდაფე** - შუა სს ესპანეთსა და პორტუგალიაში ერეტიკოსებისა და მათი თხზულებების საჯარო დაწვა.
**აუტრიგერი** - ერთგვარი ნიჩბიანი ნავი.
**აუტსაიდერი** - ბოლო ადგილზე მყოფი გუნდი სპორტულ გათამაშებაში.
**აუტსაიდი** - გარემარბი სპორტულ თამაშებში.
**აუფი** - იხილე ავფი.
**აუქსანომეტრი** - ხელსაწყო მცენარის სიგრძის მატების გასაზომად.
**აუქსინები** - მცენარის მიერ გამომუშავებული ნივთიერებანი, რაც ხელს უწყობს მათს ზრდას.
**აუქშტაიტები** - ტომთა ერთ-ერთი მსხვილი გაერთიანება ძველად, ამჟამად ლიტველთა ეთნოგრ. ჯგუფი.
**აუქციონი** - საჯარო ვაჭრობა.
**აუცილებელი** - გარდუვალი, უეჭველი.
**აუძხა** - სოფელი გუდაუთის რ

(3743)

# უოლტერ რელი

*ფანტაზიის დიდოსტატები*

**წელიწადში ორჯერ ლონდონის ერთ პატარა სკვერში, რომლის ცენტრშიც დგას ძეგლი ადამიანისა, რომელიც სამასზე მეტი წლის წინ ცხოვრობდა, არცთუ სახუმარო ვნებათაღელვანი მძვინვარებს და ამის მიზეზი გახლავთ სერ უოლტერ რელი... მის დაბადების დღეს მადლიერი შთამომავლობა აღნიშნავს, მის დასაჯის დღეს კი გაავებული მოწინააღმდეგენი.**



ლონდონის გაცრეცილი ციდან სველი თოვლის ფიფქები ცვივა და მაშინვე დნება ტაუერის პირქუშ კლდეებთან. უცებ ფანფარების ხმა ისმის და სასახლის ჭიშკარი ფართოდ იღება. ზამთრის მზის სხივები ამალის წევრთა ჩაფხუტებსა და ალებარდებზე იწყებს თამაშს. ათინათი დედოფალ ელისაბედის მოოქროვილ კაბასაც სწვდება... პროცესია ნელა იწყებს სვლას და მცირე ხანში დიდი გუბის წინ ჩერდება, დედოფლის ესკორტი გაოგნებული ჩერდება, ალბიონის მპყრობელი სადაცაა ტალახში ჩაადგამს ფეხს... არავინ იცის, რით დასრულდებოდა ეს გაოგნება, რომ არა ერთი ახალგაზრდა რაინდი... იგი გამოეყო ბრბოს და ელისაბედს ფეხქვეშ თავისი ალისფერი მოსასხამი დაუფინა... და უოლტერ რელის გარდეროზის ერთადერთ ძვირფასეულობას, რომლის შესაძენი ფულისათვის იგი სამი წელიწადი შრომობდა, დედოფალმა ელისაბედმა ფეხი დაადგა. წამიერ დედოფლისა და რაინდის მზერა ერთმანეთს გადაეყარა, ინგლისის უპირველესმა მღედრმა ახალგაზრდა კაცის გამომეტყველებაში მამაცი და ნებაძლიერი მამრი დალანდა. ელისაბედმა ირიბად გაუღიმა მას და მედიდურად ჩაიარა სწორედ უოლტერის გვერდით; დედოფალს ამალამაც მისდია... ორასი კარისკაცის მიერ გათელილი მოსასხამი კი ტალახში დარჩა... ასე ანაცვალა უოლტერ რელიმ თავისი ერთადერთი სიმდიდრე ფორტუნას...



...და ეს 1581 წელს მოხდა ინგლისში, სადაც იმხანად ძლიერი და გამბედავი ადამიანებისათვის ფართო ასპარეზი იყო გაშლილი... უოლტერ რელი ერთ-ერთი მათგანი იყო, თუმცა ეს არც მან და არც ვინმე მისმა მეგობარმა არ იცოდა მაშინ.

იმ დროს ლონდონის ერთ-ერთ თეატრში თავის მოღვაწეობას იწყებდა შექსპირი, ჩასუქებული და მოუხეშავი ახალგაზრდა კაცი, ვისაც სერიოზულად არავინ უყურებდა. „გარეული ღორის“ ტრაქტირში ყოველ საღამოს ლუდის კათხებს ცლიდა თავზეხელაღებული ქრისტოფერ მარლო... და ეს უკანასკნელი ინგლისური ლიტერატურის სიამაყე რომ გახდებოდა, რა თქმა უნდა, მაშინ ვერავის წარმოედგინა, რადგან მაშინ იგი მხოლოდ დედოფლის საიდუმლო სამსახურის რიგითი წევრი იყო. XVI საუკუნის მიწურულის ლონდონის ქუჩებში არაერთი ჯერ კიდევ უცნობი გენიოსი დააბიჯებდა და ისინი თავის ნაწარმოებებს ჭიქა ღვინისათვის თუ ქმნიდნენ... ღამეებს კი სადმე კიბის ქვეშ ათევდნენ... არა, უოლტერ რელი სულაც არ ჰგავდა მათ, იგი მაგრად ჩაეჭიდა ფორტუნას და ამ შეუპოვრობამ იგი დიდების მწვერვალზე აიყვანა. ელისაბედი ჭკვიანი ქალი იყო, მას ადამიანების შეცნობა უმალ შეეძლო და მან ჩვენი თხრობის გმირი სასახლის კარზე დააწინაურა და ამის შედეგად რელიმ ღვინით ვაჭრობის მონოპოლია მოიპოვა. სიმდიდრეს პატივმაც მოსდია კვალში... ერთ-ერთ მიღებაზე ელისაბედი მის მხარს გაშიშვლებული მახვილით შეეხო და ეს იმის ნიშანი გახლდათ, რომ მას სამეფო კარის რაინდის ტიტული ებოძა. ახლა უკვე სამეფო ნადირობისას მას უფლება ეძლევა თავისი ცხენი დედოფლის სიახლოვეს აჭენოს და პირველ ნანადირევს სწორედ მან მოჰკვეთოს თავი; სამეფო მეჯლისებზე მას დედოფლის თანხლების პატივიც ერგო და ასე და ამრიგად... თვით ყველაზე ყველაფრისმცოდნე ჭორიკნებმაც ვერ გაიგეს, თუ როგორ გაიკვლია უოლტერ რელიმ გზა დედოფლის საძინებლისკენ...

დედოფლის საყვარლობა საგანგებო ხელოვნებაა - ზედმეტი ალერსი ხშირად თავის მოკვეთით მთავრდება, უადგილო მოკრძალება კი სასახლიდან გაძევებით. უოლტერის სიცოცხლეც და სიკვდილიც ამიერიდან ელისაბედის ფერმკრთალ ხელებში მოექცა. იგი ვალდებული შეიქნა „საყვარელი ქალის“ ყველა ღიმილისა თუ ალმაცერი მზერის დარაჯი ყოფილიყო; დედოფალი მართავდა სახელმწიფოს და მისი „მეგობარი“ მუდამ მზად უნდა ყოფილიყო იმ ქმედებისათვის, რაც უეცრად ნათქვამ „დარჩით ჩემთან, სერ“-ს უნდა მოჰყოლოდა...

...მადლობის ნიშნად კი რელის ზეთისხილით ვაჭრობის მონოპოლიაც ებოძება მისი მფარველის ნებით...

...და აი, ლონდონის სიახლოვეს აგებულ სასახლეში სერ უოლტერ რელი რბილი ჩექმებით დააბიჯებს, ირგვლივ ფოლიანტებია მიმობნეული; სადღაც კუთხეში უზარმაზარი გლობუსი დგას, სასახლის პატრონი მეგობრებთან ერთად მორიგ საღამოს ატარებს... ახალგაზრდობაში რელი ოქსფორდში

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)



დედოფალი ელისაბედ I

სწავლობდა, იქ მან დახვეწილი მეტყველებისა და აზროვნების უნარიც შეიძინა. მისი ლექსები დიდი წარმატებით სარგებლობდა, ფილოსოფიურ ნაშრომებს კი თავად აღიარებული მოაზროვნენიც უწევდნენ ანგარიშს. და ამ საღამოსაც მის სასახლეში მეგობართა წრეა შეკრებილი, ისინი თავის თავს „School of night“-ს (ღამის სკოლას) უწოდებენ; ამ კლუბის წევრებისა იმხანად ყველას ეშინოდა ლონდონში და მათ ანტიქრისტიანული ტიტულებით იხსენიებდნენ. კლუბის წევრები - ქრისტოფერ მარლო, თომას ჰარიოტი თუ ჯორჯ ჩეპმენი ლექსების კითხვის პარალელურად ქვეყნიერების შექმნის დაკანონებულ შეხედულებას აკრიტიკებდნენ; მათ შორის იყო ლოურენს კემისიც, ვისთვისაც პოეზია ახლობელი გატაცება გახლდათ, მაგრამ დაშნას უფრო მეტ პატივს სცემდა და... შედეგად ის ხდება, რომ სამეფო კარის აღიარებული ფავორიტი უოლტერ რელი ხსენებულ ლოურენს კემისთან ერთად მძიმე ზარბაზნებით აღჭურვილ ხომალდზე ადის და ლეგენდარული ელდორადოს მოსაძიებლად მიცურავს „ახალი სამყაროსაკენ“.

**ასე დაიხსნა თავი დაუოკებელმა ფანტაზიამ ტაუერის ტყვეობისაგან!**

რელი ელდორადოს სამხრეთ ამერიკაში ეძებდა; მისმა ექსპედიციამ 450 კილომეტრი განვლო ორინოკოს სათავეებისაკენ, სადაც მას უამრავი თანამოაზრე დაეღუპა, ელდორადოს კი ვერსად მიაგნო. დაბრუნდა რელი ინგლისში ოქროსიმდიდრით დატვირთული, თუმცა მოგზაურობის სურვილი კვლავაც ჭიასავით ღრღნიდა მის სულს. მცირე ხანში იგი კვლავ გაეშურა ამერიკისაკენ, ოღონდ ამჯერად მის ჩრდილოეთ ნაწილს მიადგა, სადაც ინგლისური კოლონია დააარსა და სახელიც ინგლისური - ვირჯინია - უწოდა. და სწორედ იქიდან ჩაიტანა მან ინგლისში თამბაქო, პირველმა დაიწყო მისი გაბოლება და მოდაშიც მანვე დააკანონა.

და სანამ უოლტერი მოგზაურობდა, ინგლისის დედოფლის გულში დიდი ცვლილებეი მოხდა - სასახლეში გამოჩნდა რობერტ დევერე, ესექსის მეორე გრაფი - ზომიერად თავხედი და ზომიერად გალანტური პიროვნება... სწორედ იგი გახლდათ დედოფლის ახალი ფავორიტი, თუმცა მან ერთი საბედისწერო შეცდომა დაუშვა, ცოლი სიყვარულით შეირთო და ამით თავი დაკარგა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით; უარყოფილი ფავორიტი, უოლტერ რელი კვლავ სასახლეში დაბრუნდა, მაგრამ მასაც იგივე უბედურება ეწვია, ანუ პატარა ბიჭივით სიყვარულის კლანჭებში მოექცა. მან მომხიბლავ ელისაბედ ტროქმორტონზე იქორწინა ისე, რომ დედოფალმა არაფერი იცოდა ამის შესახებ და კვალის დაფარვის მიზნით მაშინვე მორიგ მოგზაურობაში გაეშურა, რათა ინგლისის მპყრობელისათვის ახალი მიწები და სიმდიდრე მოეპოვებინა.

რელის უამრავი მტერი ჰყავდა, მათ შორის დედოფლის საიდუმლო პოლიციაშიც და მალე ელისაბედმა ყველაფერი შეიტყო და ერთ დღეს, როცა უოლტერ რელის მეუღლემ მას დილის ტუალეტის საგნები მიართვა, განრისხებულმა დედოფალმა სახეში შეალეწა მას ეს საგნები, რელის ჩამოსაყვანად კი სამეფო ფრეგატ-კაპიტანი გაგზავნა, რომელსაც მიეცა მითითება, რომ „მოღალატე მიჯნური“ მკვდარი ან ცოცხალი ჩაებარებინა პოლიციისთვის. დაიწყო დევნა, რაც დიდხანს არ გაგრძელებულა და სერ უოლტერ რელიმ ტაუერის საპყრობილეში ამოყო თავი, საიდანაც მხოლოდ ჯალათთან შეხვედრასღა თუ უმზადებდა ბედი, მაგრამ რელის ფორტუნამ კვლავ გაუღიმა. უოლტერის ხომალდის ეკიპაჟმა, მის გარეშე რომ დაბრუნდა ლონდონში, თან ოქროთი დატვირთული პორტუგალიური შხუნა ჩამოიყვანა და გაირკვა, რომ მეზღვაურებმა დედოფლის კუთვნილი წილი მიითვისეს და სადღაც გადამალეს. საქმეს მხოლოდ რელიმ უშველა, რომელიც პირდაპირ ციხიდან მივიდა ხომალდზე და შეძლო ის, რომ ეს წილი არათუ აღმოეჩინა, არამედ მთლიანად დედოფლისათვის ჩაებარებინა; ამით მან თავისუფლება მოიპოვა, მაგრამ დედოფლის საძინებლის კარი სამუდამოდ დაეხშო მისთვის.

ასე დასრულდა მისი ეპოქა, თუმცა ეპოქის დასასრული უფრო წითური ელისაბედის სიკვდილს დაუკავშირდა. ლონდონში ახალი მონარქი შევიდა - შოტლანდიის მეფე იაკობ I. მან ინგლისის გვირგვინს დედის, მარიამ სტიუარტის თავი შესწირა და მოთმინებით ელოდა ელისაბედის გარდაცვალებას, რომელმაც მას ტახტი დაუტოვა სამემკვიდრეოდ. იაკობი სრული არარაობა იყო და ისტორიას შემორჩა მხოლოდ იმით, რომ ჯადოს და თამბაქოს ებრძოდა. ეს ორივე „ცოდვა“ კი მაშინ ყველაზე მეტად უოლტერ რელის ედებოდა.

გაიმართა სასამართლო, რომლის მსვლელობისას უოლტერი იმდენად ვაჟკაცურად იქცეოდა, რომ თვით მოსამართლენიც მეფის მავედრებელნი გახდნენ, რომ ბრალდებულისათვის სიცოცხლე ეჩუქებინათ, მაგრამ ვედრებამ არ გაჭრა და რელის საშინელი სასჯელი გამოუტანეს - მისი სხეული უნდა დაენაწევრებინათ ისე, რომ არცერთი ორგანოს ნიშანწყალიც არ დარჩენილიყო ინგლის „კურთხეულ მიწაზე“, თუმცა იაკობის ფანატურ მზაკვრობას საზღვარი არ გააჩნდა და მან ამ განაჩენის აღსრულება ათი წლის განმავლობაში გაწელა, რითაც მსხვერპლს სიცოცხლის ყოველი წამი კოშმარად უქცია. სწორედ ათი წლის განმავლობაში ელოდა რელი სიკვდილს ტაუერის ერთ კოშკში, რომელსაც ლონდონელები დღემდე „რელის კოშკად“ მოიხსენიებენ. ამ საპყრობილეში მან საქვეყნოდ ცნობილი „მსოფლიო ისტორია“ დაწერა; საოცარი ისაა, რომ იაკობს სჭირდებოდა უოლტერი, რომლის რჩევისათვისაც არაერთხელ მიუმართავს, თუნდაც მაშინ, როცა მისი ქალიშვილის, ელისაბედის, ხელის სათხოვნელად იტალიელი პრინცი ჩამოვიდა, სერ უოლტრმა ურჩია მეფეს, რომ იტალიელისათვის უარი ეთქვა და სასიძო გერმანიაში მოენახა. მეფემ დაუჯერა თავის ტყვეს, თუმცა მისი სასჯელი არაფრით შეუმსუბუქებია. მეფეს ეშინოდა მეამბოხეების, არ უყვარდა ჭკვიანი ხალხი და ეზიზღებოდა თამბაქო, რაც სწორედ უოლტერ რელის გამოისობით გავრცელდა ინგლისში. რელი კი ელოდა სიკვდილს და კვლავ ელდორადო ესიზმრებოდა...

როცა 66 წლის უოლტერმა თავი გრდემლზე დადო, წითელნიღბიანმა ჯალათმა მას შენიშვნა მისცა - თავი გამრუდებულად გიდევსო, რაზედაც მან ღიმილით უპასუხა: „ეს დიდი უბედურება არ არის... მთავარი ისაა, რომ სული არ მაქვსო გამრუდებული!“. ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები... მზეზე ალაპლაპდა ალესილი ცული და... ყველაფერი დამთავრდა!

* * *

...წელიწადში ორჯერ, ლონდონის ერთ პატარა სკვერში ვნებათაღელვა მძვინვარებს, უოლტერ რელის ბრინჯაოს ქანდაკება კი მდუმარედ დასცქერის თამბაქოს კვამლში გახვეულ თანამოაზრეებსაც და გაავებულ არამწეველებსაც.

**ქულათა მაქსიმალური რაოდენობა - 200**

**პასუხები იხილეთ მე-14 გვერდზე**




1. „გასათხოვარი“ პერსონაჟი პიესისა „დარისპანის გასაჭირი“ (6). 2. სინამდვილისაგან შორს მდგომი ანუ როგორი? (4). 3. თბილისის დაარსების წინაპირობა (2). 4. უღალატო ანუ როგორი? (2). 5. რა იმართება კანშიც, ვენეციაშიც და ბერლინშიც (5). 6. ულიმღამო, შეუმჩნეველი ანუ როგორი? (2). 7. ფრანგი ფეხბურთელი, რომელმაც 1978 წ მსოფლიო ჩემპიონატზე უსწრაფესი გოლი გაიტანა აღნიშნული ტურნირების ისტორიაში (10). 8. XX ს დასალიერის პოლონეთის ყველაზე გამოკვეთილი პოლიტიკური ლიდერი (5). 9. მიუდგომელი კლდოვანი ნაპირი ზღვისა ან მდინარისა (6). 10. მატყუარის და გაიძვერას ფრანგული სინონიმი (6). 11. რა უნდა მოეკრიბა თავად ლევანს მაკარის რჩევით ქეთოს ძიებისას? (4). 12. ქმედება, რომელიც ამა თუ იმ საქმის მსვლელობას ძირეულად ცვლის (4). 13. ქრისტეფორე კოლუმბის მშობლიური ქალაქი (7). 14. დაბალი სიმაღლის მძაფრსუნიანი ხე-ბუჩქი (4). 15. როგორია ზოგიერთი ხილი დამწიფების თვალსაზრისით? (3). 16. რა აღარ უნდა ეტარებინათ ბოიარინებს პეტრე პირველის ერთი ახირების თანახმად? (7). 17. თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტო (4). 18. კბილების ერთ-ერთი ქმედების აკუსტიკური თანხლება (1). 19. თანამედროვე საჩოგბურთო სამყაროს ერთ-ერთი უძლიერესი სპორტსმენი ქალი (5). 20. როგორი ძეგლია თუნდაც სვეტიცხოველი, გარდა ისტორიულისა? (4). 21. სიტყვა „გალერეის“ წინ ხმარებული ერთ-ერთი განსაზღვრება (4). 22. საგარანტიო ნივთი თავისი არსით (3). 23. როგორი პიროვნებაა გრაფომანი თავისი არსით? (3). 24. ფილმ „მაია წყნეთელის“ ერთ-ერთი „დამპყრობი“ პერსონაჟი (10). 25. პირენეს მთების უმაღლესი მწვერვალი (10). 26. ორნამენტის ან გამოსახულების შექმნის ერთგვარი ხერხი (8). 27. ქალის გავრცელებული სახელი ძველ საქართველოში უპირატესად დიდგვაროვანთა შორის (6). 28. ქაღალდის საგანთა სამაგრი საშუალება არაჩვენებურად (5). 29. სავაჭრო გარიგებათა წამომწყებ-ხელშემწყობი პიროვნება (5). 30. ცეცხლის მიღების ერთ-ერთი მონაწილე მხარე სანთებელა-ასანთამდელ პერიოდში (5). 31. ბრიტანეთის კუნძულების უძველესი სახელწოდება (5). 32. ძვირფასი ქსოვილი (3). 33. კინო-ფოტო აპარატურის სამაგრი საშუალება (6). 34. ჩვენი საბავშვო პოეზიის სწავლაზე გადაგებული „ტიტინა“ პერსონაჟი (4). 35. „უკიდურესობის“ აღმნიშვნელი წინსართი (4). 36. საიდუმლო-ნიშან სიმბოლოთა ერთობლიობა (5). 37. ყოვლისმომცველი და სრული ანუ როგორი? (4). 38. რაიმე დაავადების შედეგად სხეულის ღრუებში დაგროვილი სითხის ამოსრუტვა (9). 39. პატარა წიგნი (4). 40. ჭოროხისა და მტკვრის აუზების წყალგამყოფი ქედი (7).

**თარაზულად:** 1. ავტომობილის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც ფირმა „**Michelin**“-ი აწარმოებს. 4. საქართველოს შავიზღვისპირა კურორტი. 7. ფენიმორ კუპერისეული ჩინგაჩჰუკიც და თანავარსკვლავედიც. 10. ფულადი ჯილდო. 17. გეოგრაფიულად ერთგვაროვანი დიდი სივრცე. 18. ევროპის ჯუჯა სახელმწიფო. 19. ბელგიის საფეხბურთო კლუბი. 22. რა ჰქვია სამყაროს დაღუპვას სკანდინავიურ მითებში, რომელსაც თან მზის დაბნელება ახლავს? 23. რომაელთათვის მეათე თვე. 24. ტრაგიკულად დაღუპული რუსი ტელეჟურნალისტი. 29. იტალიური ავტომობილი. 30. პერსევსის სატრფო ბერძნულ მითოლოგიაში, რომლის სახელიც ჩვენს გალაქტიკამდე უახლოეს გალაქტიკას დაენათლა. 31. პოეტიკური სტილისტიკური ხერხი, რომელიც მდგომარეობს წინადადების შედგენისას გრამატიკული წესის დარღვევაში. 32. ბანში შუაცეცხლის თავზე ამოჭრილი ადგილი. 36. ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი. 37. ქალაქი, სადაც შეიკრიბნენ 1943 წელს „ძლიერნი ამა ქვეყნისათა“. 38. გოგი ცაბაძის მრავალი სიმღერის ლექსის ავტორი. 43. იაპონური წარმოების ავტომობილი. 44. ჩოგბურთის მოედანი. 45. უმცირესი მუხტის მქონე ელემენტარული ნაწილაკი. 46. რა ერქვა პერსევსის ცხენს ბერძნულ მითოლოგიაში. 50. ქალაქი რუსეთში, როსტოვის ოლქში. 51. ნაპოლეონის მშობლიური კუნძული. 52. მოწყობილობა მატარებლის ავტომატურად გასაჩერებლად. 57. ორთქლის მანქანის შემქმნელი ინგლისელი გამომგონებელი. 58. როგორია ხოლმე გადაჭარბებული თავმოყვარეობით განმსჭვალული განცხადება? 59. ყვავილებისა და გაზაფხულის ყვავილობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში (გსმენიათ ბატონო, გსმენიათ). 60. რა უნდა ჩაატარო (თურმე!) იმისათვის, რომ გაიგო ქვეყანაში ვინაა ყველაზე ლამაზი ქალი? 64. გაცვეთილი ფორმის და შაბლონურობის სინონიმი. 65. ვინ იყო ოსტაპ ბენდერი? 66. საწვავის სათავსი ჭურჭელი ავტომობილებში. 70. იტალიელი პოლიციელების „საყვარელი“ იარაღი. 71. რა ჰქვია პირს, რომელიც ჩაის დეგუსტაციას უკეთებს? 72. ქალაქი, რომლის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობასაც ფრიდრიჰ შილერის და იოჰან ვოფგნაგ გოეთეს ძეგლი წარმოადგენს. 76. ეს სიტყვა ერთი ინგლისელი მწერლის გვარის ნაწილია, ქართულ ენაში კი დაუსაბუთებელ ჰაიჰარალად ნათქვამ სიტყვას ჰქვია. 77. ანტიგუა და ბარბუდას დედაქალაქი (სახელმწიფოა ასეთი). 78. XX საუკუნის ირლანდიელი მწერალი, ავტორი რომანისა „ულისე“. 79. სომხური წარმოშობის თანამედროვე ამერიკელი ჩოგბურთელი. 84. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ჭურვის მოძრაობას ცეცხლსასროლი იარაღიდან ლულაში და ლულიდან გამოსვლის შემდეგ. 85. ხილის წვენისაგან დამზადებული საკონდიტრო ნაწარმი. 86. სახელმწიფოთა შორის უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა. 90. რა ჰქვია ცხენების და ირმების ჯოგს? 91. XX საუკუნის ამერიკელი ეთნოგრაფი და მწერალი, ავტორი დონ ხუანის შესახებ არსებული ფილოსოფიური ნაწარმოებებისა. 92. რა ჰქვია ნორვეგიის პარლამენტს? 93. რა შეიძლება გაგძვრეს მუშაობაში? 97. ქალაქის მთავარი ღლესასწაული ახლაც და კომუნისტობისასაც. 98. მინერალი, ალუმინისა და ბორის სილიკატი.. მისი გამჭვირვალე კრისტალები განეკუთვნება ძვირფას ქვებს. 99. ბანქოს თამაში, რომლის სახესხვაობებს შორისაც ვხვდებით ქალაქების – როსტოვის, სოჭის და ლენინგრადის (სანკტ-პეტერბურგი მას არ ეხება) სახელებს. 102. ქალაქი იტალიაში. 103. ყველაზე ცნობილი მგზავრი გემ „ბიგლისა“, რომელმაც ამ მოგზაურობის შემდეგ გაითქვა სახელი. 104. **იხილეთ ფოტოკოლაჟი**. 109. მომწამვლავი ნივთიერება, რომელიც პირველად გამოყენებული იქნა 1917 წელს ქალაქ იპრში (ბელგია). 110. XVIII საუკუნის მოლდაველი მეცნიერი, მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე. 111. ორდენებისა და ნიშნების შემსწავლელი ნუმიზმატიკის დარგი. 115. მომცრო ტანის მტაცებელი ცხოველი ძაღლისებრთა ოჯახისა. 116. ინფორმაციის ერთეული. 117. საიდუმლოს მკაცრად დაცვა – ერთი სიტყვით. 118. ჟიულ ვერნისეული კაპიტანი. 122. წყვეტილად და მოკლედ ბგერების გამოცემა მუსიკაში. 123. შექსპირის „მეფე ლირის“ პერსონაჟიც და სიგარეტის მარკაც. 124. რა ჰქვია კაკაბაძეს... დრამატურგს? 125. როგორი იყო თითოეული გაქვავებული ადამიანი კინოფილმ „ცისკარაში“? 130. წერილობითი ხელშეკრულება. 131. რა ჰქვია კომბლეს ძროხას მულტფილმში? 132. აღმოსავლეთ საქართველოს რაიცენტრი. 137. ქალა-



ქი გერმანიაში, საქსონიის მიწაზე. 138. სპორტის არაოლიმპიური სახეობა. 139. საკვები პროდუქტი, რომელმაც განხეთქილება ჩამოაგდო ქალღმერთებს შორის ძველ ბერძნულ მითოლოგიაში. 140. თანამედროვე ქართველი პოლიტიკოსი ქალი. 141. ასე ვთქვათ „შუამავალი“ არაქართულად. 142. გოტფრიდ ვილჰელმ ლეიბნიცის უმთავრესი ნაწარმოები. 143. რომის იმპერატორი სევერუსების დინასტიიდან.

**შვეულად:** 1. „ტიტანთა ორთაბრძოლად“ მონათლული სპორტის სახეობა. 2. საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ახლო წარსულში. 3. ქალაქი ჩრდილოეთ იტალიაში. 5. რა მეტსახელი ჰქონდა თამარ მეფის მეუღლეს? 6. რა მეტსახელი ჰქონდა არაბების წინააღმდეგ მებრძოლ რაინდს, რუი დიას დე ბივარს „სიდ“-თან ერთად?. 8. XX საუკუნის რუსი მწერალი, იური მარკოვიჩ.... 9. რა ჰქვია ღოღობერიძეების გვარის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს? 11. ვაშლის ნამცხვარი. 12. ჯაინიზმის (რელიგიაა ასეთი) მამამთავარი. 13. ქვეყნის ნაწილი. 14. საშუალო სამხედრო სასწავლებლის მოსწავლე მეფის რუსეთში. 15. ავსტრალიის მაცოცხლებელი მდინარე. 16. ბიბლიური არსება, ზღვის დიდი ურჩხული. 20. კუნძულოვანი სახელმწიფო ვესტ-ინდოეთში. 21. სახელმწიფო ბრალმდებელი სასამართლო პროცესზე. 25. მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „სპეციალისტი“ შერონ სტოუნთან ერთად. 26. რა ჰქვია თანამედროვე იტალიელ მწერალ ეკოს? 27. XX საუკუნის რუსი მხატვარი და გრაფიკოსი, ილია.... 28. დაპყრობილ ქვეყანაში დამპყრობლებით დასახლებული ადგილი. 33. კალის, სპილენძის და დარიშხანის შენადნობი. 34. 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ქვეყანა ფეხბურთში. 35. სხვადასხვაგვარ შეხედულებათა და იდეურ მიმართებათა უპრინციპო შეერთება. 39. გზის საფარი. 40. ცირკის მსახიობი. 41. კელტთა ლეგენდარული მეფე არტურის ხმალი. 42. „**Deep blue**“-ს ყველაზე ცნობილი მოწინააღდეგე. 47. ძველებური ფირსაკრავი. 48. ცარიელი თავის ეპითეტი ბაღჩიდან. 49. მოცულობითი გამოსახულება, რომელიც მიიღება წმინდა ოპტიკური ეფექტით. 53. ასე ვთქვათ ძირმაგარა. 54. ფედერალური მთავრობის ადგილსამყოფელი აშშ-ში. 55. რიგი ევროპული სახელმწიფოების ფულის ერთეული. 56. ვარსკვლავი, რომელსაც ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტელები იცნობდნენ. 61. პერსონაჟი უილიამ შექსპირის „ოტელოსი“. 62. აცტეკთა უკანასკნელი იმპერატორი, რომლის შესახებაც რაიდერ ჰაგარდს რომანი აქვს შექმნილი. 63. ვალსის მეფედ წოდებული კომპოზიტორი. 67. რა ჰქვია კარის წინ დაკიდებულ ფარდას... უფრო სწორად – ერქვა ძველ ქართულში? 68. დიპლომატიური დოკუმენტის სახესხვაობა. 69. რა ჰქვია ოდრი ჰეპბერნის პარტნიორ მსახიობს ფილმში „რომაული არდადეგები“. 73. არქიმედეს ეკუთვნის ასეთი ფრაზა – „მომეცით საყრდენი წერტილი და მე გადავაბრუნებ დედამიწას“... აქ მოწყობილობა ჩაწერეთ რომლის იმედიც არქიმედეს ჰქონდა ამ ფრაზის წარმოთქმისას. 74. ტუჩოსანთა ოჯახის მწვანილი... გამოიყენება დაბალი ადამიანების ეპითეტად. 75. პარაგვაის დედაქალაქი. 80. ქალაქი, სადაც ევროკავშირის შტაბ-ბინა მდებარეობს. 81. XX საუკუნის რუსი მწერალი, ანდრეი... 82. თანდაყოლილი ჭკუასუსტობა. 83. მოძრავი, ცოცხალი, ანუ... როგორი? 87. ერთი მეტად საჭირო კაცი სოფლის მეურნეობაში. 88. დაწესებულება, ურომლისოდაც კაცი უცხოეთში ვერ მოხვდებოდა სსრკ-ს დროს. 89. გამოძიების ფედერალური რა შექმნა ჯონ ედგარ ჰუვერმა? 94. ზღვის სიღრმის საზომი ხელსაწყო. 95. კუნძული, ქალაქ სან-ფრანცისკოს მახლობლად, სადაც წლების განმავლობაში მდებარეობდა სახელგანთქმული ფედერალური ციხე. 96. ღატაკთა ფენის წარმომადგენელი ძვ. რომში. 100. ესპანელ მეფეთა მემკვიდრე. 101. ზედა სასუნთქი ორგანოების მკურნალობა ჰაერის საშუალებით. 105. დედამიწის უმაღლესი მწვერვალი, ბიბლიის თანახმად. 106. საქონლის შემოტანა, ზოგადად. 107. ქართული კინემატოგრაფის „ლონდრე“. 108. კომპიუტერული მოწყობილობა ვიზუალური ინფორმაციის შესატანად კომპიუტერის მახსოვრობაში. 112. ერთ-ერთი ცივი იარაღთაგანი. 113. ოპტიკური მოწყობილობა. 114. ინგლისურად ამ მწერს **Firefly** (სიტყვასიტყვით „ცეცხლის ფრენა“) ჰქვია... რა ჰქვია მას ქართულად? 119. (კიდევ ერთი) ცირკის მსახიობი. 120. ელექტრულად ნეიტრალური ელემენტარული ნაწილაკი. 121. სცენიური ხელოვნების სახესხვაობა. 126. გვარი კაცისა, რომელმაც 1885 წელს პირველი ავტომობილი შექმნა. 127. კომპიუტერული სიტყვა, რომელიც რაიმეს ჩაწერას უკავშირდება. 128. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი. 129. კლიმატური შავიზღვისპირა კურორტი ბულგარეთში. 133. გამარჯვების რომაული ქალღმერთი. 134. რა ჰქვია ფინელ ავტომრბოლელ ჰაკინენს? 135. საქართველოს ერთ-ერთი სიმბოლო. 136. ბილი უაილდერის ფილმის შირლი მაკლეინისა და ჯეკ ლემონის მონაწილეობით.

**შეადგინა ვახო ელერდაშვილმა**



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13
14 15 16
17 18 19
20 21
22 23 24
25 26 27 28
29 30 31 32
33 34 35
36 37 38
39 40 41 42
43 44 45 46
47 48 49
50 51 52
53 54 55 56
57 58 59 60
61 62 63
64 65 66
67 68 69
70 71 72
73 74 75
76 77 78 79
80 81 82 83
84 85 86
87 88 89
90 91 92 93
94 95 96
97 98 99
100 101
102 103 104
105 106 107 108
109 110 111
112 113 114
115 116 117 118
119 120 121
122 123 124 125
126 127 128 129
130 131 132
133 134 135 136
137 138 139 140
141 142 143

# ფანტაზიორი

რუბრიკას უძღვება
ვახტანგ ელერდაშვილი
(პასუხები მე-14 გვერდზე)

***კითხვა №1***

არაბები მას „აბუ-ლ-ხვავი"-ს უწოდებენ, რაც თარგმანში ასე ჟღერს - „მარადისობის მამა". ის დარაჯობას იმას, რისაც თავად დროს ეშინია.

**რა სახელია გავრცელებული მის მოსახსენიებლად ევროპულ ენებში? (10 ქ.)**

***კითხვა №2***

გასულ წელს მათი გამოისობით მხოლოდ ამერიკაში 67 ბავშვი დაიღუპა და 160 000-მა ჭრილობა მიიღო. სოციოლოგებმა გამოთვალეს, რომ ყოველ მეექვსე მათგანში ბავშვის პოტენციური მტერი იმალება. თუმცა პრაქტიკულად არცერთი მშობელი ყურად არ იღებს სოციოლოგთა ასეთ გაფრთხილებას და ამრავლებენ და ამრავლებენ ბავშვის სიცოცხლისათვის სახიფათო ამ საგნების რიცხვს...

**რა საფრთხე იგულისხმება? (9)**

***კითხვა №3***

1830 წელს მეფე ფერდინანდ VII-ემ დააარსა სამეფო სკოლა, სადაც ამზადებდნენ ადამიანებს, რომლებიც, გარსია ლორკას თქმით, „სიკვდილისაგან ეროვნულ სანახაობას ქმნიან".

**ვის ამზადებდნენ ამ სკოლაში? (7)**

***კითხვა №4***

როცა ფრენსის დრეიკმა ამერიკის დასავლეთ ნაპირებს მიაღწია, იქ მან დაარსა პატარა დასახლება, რომელსაც თავისი სახელი უწოდა...

**რა ჰქვია ახლა ამ დასახლებას? (6)**

***კითხვა №5***

ერთმა ფილოსოფოსმა იულიუს კეისარს ურჩია: „როცა მრისხანება მოგეძალება, ნურაფერს იტყვი და ნურაფერს გააკეთებ, სანამ ოცდაოთხივეს არ გაიხსენებ!"

**მაინც რა უნდა გაეხსენებინა იულიუს კეისარს? (10)**

***კითხვა №6***

ჩინეთში მას, რეგიონების-და მიხედვით, ასობით სახელი გააჩნია : შუისენი, იუნნანი, შაოცუნი, ულუნი, ჩიჩა, ტოჩა... მის აღსანიშნავად გამოიყენება უძველესი იეროგლიფი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნით თარიღდება და აზრობრივად „ნორჩი ფოთლის" მნიშვნელობა გააჩნია.

**რა ჰქვია მას ჩვენს ენაზე?(7)**

***კითხვა №7***

1583 წელს გალილეო გალილეომ პიზას ტაძარში ჩატარებული ერთი ღვთისმსახურებისას ყურადღება მიაპყრო ჭაღებს, რომლებიც ჭერზე გრძელი ჯაჭვებით იყო ჩამოკიდებული; გალილეიმ უყურა, უყურა და გააკეთა აღმოჩენა, რითაც დღემდე ვსარგებლობთ...

**რა აღმოაჩინა გალილეიმ? (12)**

***კითხვა №8***

ამ ქალაქის სახელი, რომელიც უდაბნოში მდებარეობდა, თუმცაღა მაინც აყვავებული იყო ძველი ეგვიპტის დროსაც კი, ლათინური ენიდან სხვა ენებშიც გავრცელდა და განზოგადებული სახე მიიღო.

**რა ერქვა ამ ქალაქს? (10)**

***კითხვა №9***

1872 წელს ედვირდ მეინბრიჯმა განაცხადა, რომ სწრაფი სვლისას ცხენი ოთხივე ფეხს სწყვეტს მიწას და ამის დასადასტურებლად ამ მოვლენის ამსახველი ოციოდე ფოტოკადრი გადაიღო...

**რა გამოიგონეს ამის საფუძველზე? (8)**

***კითხვა №10***

ერთმა ძველბერძენმა ფილოსოფოსმა ფილოსოფიური დისკუსიის მონაწილე პარტნიორს უთხრა: „ამ ქმედებისას თუ ჭკვიანი ხარ, სულელურად იქცევი და თუ სულელი ხარ, ჭკვიანურად იქცევი"...

**მაინც რას იქმოდა ის პარტნიორი? (12)**

***კითხვა №11***

როგორც ცნობილია, სპორტი - და განსაკუთრებით პროფესიული - საზიანოდ მოქმედებს ჯანმრთელობაზე. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ მაგალითად, მსოფლიო მასშტაბის საფეხბურთო ტურნირებში ფეხბურთელებს მატჩის წინ „გული ხელით უჭირავთ"

**რატომ? (11)**

***კითხვა №12***

ამერიკელი პოლიტიკოსი ფრენკ მანკეევიჩი ასე აფრთხილებდა ამომრჩევლებს, რომ პოლიტიკოსი, რომელიც თავის დამსახურებად თვლის წვიმის მოსვლას, მხილებულ იქნება...

**რაში? (10)**

იაპონური



ნახაზი



# ალო, „ფანტაზია"

პირველი ტური 18.09. 18-20 სთ

**ამასწინათ გვქონდა ნინასწარი განცხადება „ალო, ფანტაზიის" მესამე ტურნირის წესების შესახებ; საბოლოოდ კი ასეთი ვარიანტი შევიმუშავეთ:**

**– ტურნირი ჩატარდება 12 ტურად, კვირაში ერთხელ, ორშაბათობით საღამოს 18-20 საათებში.**

**– ყოველ ტურში გამოქვეყნდება 3 სატურნირო და ორი საპრემიო კითხვა. 3 სატურნირო კითხვაზე ზუსტი პასუხების გაცემის შემთხვევაში გამარჯვებული მიიღებს 10 ლარს (ორი და მეტი გამარჯვებულის შემთხვევაში ეს თანხა გამანაწილდება მათ შორის); ორ საპრემიო კითხვაზე პასუხის გაცემა სავალდებულო არ არის, მაგრამ თუ ვინმე ისურვებს ამ კითხვებზე პასუხის გაცემას და მოახერხებს ამას, მიიღებს საპრემიო 10 ლარს (ორი და მეტი გამარჯვებულის შემთხვევაში ეს თანხაც გამანაწილდება მათ შორის). საპრემიო პასუხები ჩაეთვლებათ მხოლოდ მათ, ვინც 3 სატურნირო კითხვასაც სწორად უპასუხებს**

**– საპრემიო კითხვებზე ქულა არ იწერება.**

**– მესამე ტურნირის საბოლოო გამარჯვებულს დამატებით მიეცემა კიდევ 10 ლარი.**

**სატურნირო კითხვები**

***პირველი კითხვა***

ეს ყოველთვის უაზრობაა. ეს ისეთივე მცდელობაა, რაც აფეთქების საშუალებით ორთქლის მანქანის ნაკლოვანებების გამოსწორება ან მიწისძვრის საშუალებით ქალაქის ქუჩების კანონზომიერი დაგეგმარება...

**რა არის ეს?**

***მეორე კითხვა***

ერთხელ ჰიპოკრატეს ჰკითხეს:

- მართალია, რომ გენიალობა ავადმყოფობაა?

- რა თქმა უნდა! - უპასუხა ჰიპოკრატემ - ოღონდ ძალზედ იშვიათი, რასაც, სამწუხაროდ, კიდევ ერთი თვისება გააჩნია...

**რა?**

***მესამე კითხვა***

ფრანგი მოაზროვნის ელგოზის აზრით, იღბლიანები მასთან ერთად ცხოვრობენ, უიღბლოები - მის გარეშე, ნაძირალები კი - მისთვის...

**რა არის ეს?**

**საპრემიო კითხვები**

***1.*** დაასრულეთ ანეკდოტი:

ღვთისმეტყველების მასწავლებელმა ერთხელ მოსწავლეებს ჰკითხა: „როგორ გგონიათ, ბევრი თევზი დაიჭირა თუ არა ნოემ მსოფლიო წარღვნის დროს?"

**რა პასუხი რა დასაბუთებით მიიღო მან მოსწავლეთაგან?**

***2.*** დარვინის ევოლუციური თეორიის შექმნამდე მეცნიერ-თეოლოგები ერთი გარკვეული მიზეზით ხსნიდნენ მამონტების მოსპობას დედამიწაზე...

**რა მიზეზით?**



**თარაზულად**: 1. 60-70-იანი წლების ცნობილი კიეველი ფეხბურთელი. 3. სატვირთო გემის კაპიტანი. 6. უფლება რაიმეთი სარგებლობისა განსაზღვრული ვადით. 13. შენობა პარიზში, რომლის აღებითაც დაიწყო დიდი ფრანგული ბურჟუაზიული რევოლუცია. 14. დიდი პოეტი. 15. წარმოშობით ფრანგი სამი ინგლისელი მწერალი ქალის გვარი. 18. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ტესტების შედგენის თეორიულ საფუძველს. 19. ფრანგულ ლიტერატურაში ტრაბახის, ბაქიობის აღმნიშვნელი სიტყვა, რომელმაც სახელი მიიღო დ'არტანიანის მშობლიური კუთხის სახელისგან. 22. ერთგვარი კენკრა. 23. პირი, რომელიც წერილს გზავნის. 24. ავტორი რომანებისა „ტრფობა წამებული“ და „მიმქრალი შარავანდედი“. 28. სპორტის სახეობა, რომლითაც ამ ბოლო დროს „ფანტაზია“ დაინტერესდა. 29. მუსიკალური ინსტრუმენტი, რომლითაც მხატვრები ანგელოზებს გამოხატავენ. 30. უდიდესი ამერიკელი კალათბურთელი, რომლის სილუეტიც გამოსახულია NBA - ს ოფიციალურ ნიშანზე. 31. ის, რასაც აღნიშნავს X L ან XX L თურქეთ-ირანიდან შემოტანილ ტანსაცმელზე. 36. ძველბერძნულ მითოლოგიაში ზევსის კოჭლი შვილი, საუცხოო მჭედელი. 37. გვინეის სანაპიროებიდან გატანილი ოქროსგან გამოჭრილი ძველებური ინგლისური მონეტა. 38. ჟან ვალჟანის როლის შემსრულებელი ფილმში “Les Miserable's” 42. ტბა ავსტრალიაში და ირლენდიის ირლანდიური სახელწოდებაც. 43. ვისამე ავტორიტეტის და პატიოსანი სახელის შელახვა. 44. მცენარე, რომლის სამშობლოდაც ახლო წარსულში შემდგარმა მეღვინეობის სიმპოზიუმმა აღიარა საქართველო. 47. ფილიპინების ერთ-ერთი უდიდესი კუნძული. 48. პიროვნება, რომელსაც ბრალად ედება თავისი ეპოქისათვის დედამიწის მოსახლეობის 25%-ის გაჟლეტა. 49. უძველესი სახელმწიფო ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე. 53. მრავალი ენის მფლობელი პირი. 54. ქალის აღმოსავლური სახელი. 58. ... შახნაზაროვი, კინორეჟისორი. 59. დინამიკური აღნიშვნა, რომელიც მოითხოვს ბგერის ან აკორდის უფრო ხმამაღალ შესრულებას. 60. ძველრომაელი კომედიოგრაფი, რომელსაც ეკუთვნის გამოთქმა: „ადამიანი ადამიანისთვის მგელია“. 64. ანა კარენინას მკვლელი. 65. ქალბატონი ოლბრაიტიც და ჟან ვალჟანის ფსევდონიმიც ქალაქის მერად ყოფნის პერიოდში. 66. მუსლიმანთათვის და ებრაელთათვის უწმინდური ცხოველი. 69. ცხოვრება, არსებობა. 70. დადგენილი ნიმუში, ეტალონი. 71. ბუასილი. 75. მოკლე სატირული ხასიათის მქონე თხზულება. 76. კომპიუტერული დანადგარი. 77. ადამიანის სახის კუნთების მოძრაობა. 80. რომაული ეპოქის ბერძენი მწერლის არიანეს თხზულება, რომელშიც აღწერილია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა. 81. მუსლიმანთა მთავარი დღესასწაული. 85. ტყვიის ნაწილი. 86. რაიმე ნივთიერების მარცვლის მსგავსი წვრილი მკვრივი გუნდა. 87. საფრენი აპარატი. 92. ლაღად ფრენა. 93. ქალაქი თურქეთში, უდიდესი სტრატეგიული პუნქტი ამიერკავკასიაში შესასვლელად. 94. თავმდები. 95. ის, რაც ახლახანს დაიწვა მოსკოვში. 96. მეცნიერება, რომელიც ნებისმიერმა ექიმმა ხუთი თითივით უნდა იცოდეს. 97. უძველესი სახელმწიფო ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე, რომელიც ბერძნული მითოლოგიის მიხედვით დააარსა თარაზულად №49-ის დამაარსებლის ძმამ. 98. ქალაქი საფრანგეთში, რომლისათვისაც ჰიუგოს საკუთარი სახელის დარქმევა ჰქონდა განზრახული.

**შვეულად**: 1. რაიმე საქმის წინასწარგანზრახვით ჩაშლა მასში არმონაწილეობით. 2. სტატუსი, რომლითაც აშშ-ში სარგებლობს წიგნები: „ფორესტ გამპი“ და „კრავთა დუმილი“. 4. ავტომობილები სიგნალიზაციის მწარმოებელი ცნობილი ფირმა. 5. მუსიკალური სტილი, რომლის დამაარსებლადაც ბობ მარლი ითვლება. 7. „ არტეკი“ თავისი არსით. 8. ადამიანი, რომელიც 1986 წელს წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს. 9. ქართული ფილმი. 10. ერთგვარი სოსისი, რომელმაც სახელი უძველესი სახელმწიფოსგან მიიღო. 11. .... ჩიქოვანი, ქართველი პოეტი. 12. გზის საფარი. 16. ნ. ვინერის მიერ 40-იანი წლების ბოლოს შექმნილი მეცნიერება. 17. ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის ალიანსი, პირველი მსოფლიო ომის დროს. 20. კუნძული იტალიაში, სადაც მაქსიმ გორკი ჭლექისგან იკურნებოდა. 21. უფლება, რომელიც ქართულმა ეკლესიამ 1811 წელს მიიღო. 25. საბერძნეთის ერთ-ერთი უდიდესი კუნძული. 26. ელენე მშვენიერის ქმარი, აგამემნონის ძმა. 27. როლან ბიკოვის მიერ განსახიერებული პერსონაჟი ფილმში „ბურატინოს თავგადასავალი“. 32. გერმანული მაღაზიათა ქსელი. 33. ნირვანას მიღწევის ერთ-ერთი საშუალება. 34. რაოდენობა, რომელიც რუსთავი 2-მა საქართველოში „ათასით“ შეცვალა. 35. ჩინელთა დიდი მამა. 39. ატომური ელექტროსადგურის ერთ-ერთი სასაზრდოო ქიმიური ელემენტი. 40. „ფანტაზიიას“ ასეთი ორი ჰყავს. 41. ქართლეს მეფე IV საუკუნეში. 45. ხელსაწყო, რომელსაც მეზღვაურები ავდარში იმედის თვალით შეჰყურებენ. 46. უძველესი ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი ძირითადი სპორტული სახეობა. 50. ერთგვარი წამალი. 51. უდიდესი გერმანელი კომპოზიტორი. 52. 1358 წლის საფრანგეთის გლეხთა აჯანყება. 55. ამერიკიდან შემოტანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომელსაც ფრანგი მეფეები დეკორატიულ ყვავილად იყენებდნენ, სანამ მისი დანიშნულება გაიგეს. 56. დროებითი იზოლაცია ეპიდემიური დაავადებების თავიდან აცილების მიზნით. 57. სტატუსი, რომლითაც სარგებლობს აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა არ ისურვეს. 61. ის, ვინც სჯერდება იმას, რაც აქვს. 62. თავის გავლენის ქვეშ მოაქცევს, ანუ რას იზამს? 63. .... იორდანესკუ, რუმინელთა ლეგენდარული მწვრთნელი. 67. ქალაქი სამხრეთ საფრანგეთში. 68. წესრიგის დამცველი აშშ-სა და ინგლისში. 72. მინერალი სულფიდების კლასისა, წარმოადგენს კალის მადანს. 73. რომის რამოდენიმე პაპის სახელი. 74. დიდი გერმანელი დილოსოფოსი. 78. უძველესი ეგვიპტური ღვთაება. 79. კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი. 82. ლაშქრობაში შეუცვლელი ჭურჭელი. 83. სადაზღვეო კომპანია. 84. საომარი მოქმედების წინა ხაზი. 88. ნიდერლანდის სიმბოლო, ყვავილი. 89. ის, რაც ყოველთვის მოჰყვება ორატორის გამოსვლას. 90. კარლსონის საყვარელი საქანელა ჭერზე. 91. მუქი ლაქა კანზე.

\შეადგინა გოგა ტარიელაშვილმა

**თარაზულად**: 1. რუსული ესტრადის ერთ-ერთი ალიონა. 10. პერსონაჟი სესილია თაყაიშვილის კინოგალერეიდან. 11. ჟანგბადიანი ნაერთი, რომელიც წყალთან შეერთებით იძლევა მჟავას. 12. 70-იანი წწ თბილისელი ტანმოვარჯიშე ქალი, სსრკ ნაკრების წევრი. 13. ორი სპორტსმენისაგან შემდგარი სპორტული გუნდი. 14. თბილისის კალათბურთელთა გუნდი 50-იან წლებში. 15. სოფელი ცაგერის რაიონში. 16. ქალაქი საქართველოს ცენტრალურ ნაწილში. 17. თავზეხელაღებულთა ერთ-ერთი თვისება. 19. ორ მბრუნავ ლილვს შორის გავარვარებული ლითონის ზოდის გატარებით მიღებული ახალი პროდუქტი. 21. საკვებს (...და ქალებს!) დახარბებული, ანუ? 23. ქრისტიანულ რიტუალებში გამოსაყენებელი ერთ-ერთი ხე. 24. სევდიანი ლირიკული ლექსი ან სიმღერა. 27. თანაშემწე, ასისტენი... კიდევ? 28. ცხოველური გამონაზარდი. 30. XX საუკუნის ცნობილი საბჭოთა მხატვარი გრაფიკოსი. 31. ლოურენს ოლივიეს მეუღლე. 32. გამოშვებული საქონლის, ნაწარმის ტიპი. 34. კონტაქტური ლაზღანდარობა, ბლლრაძუნი ანუ? 36. ცხენისათვის საჭირო ნივთი. 37. იტალიელი მწერალი, ავტორი რომანისა „პატრონი“. 40. საინფორმაციო სააგენტოების „პური არსობისა“. 42. ერთ-ერთი გუნდის სახელწოდება ფილმში „ფეოლა“. 46. ის (რუსული), რაც (სპარსულ) დუქანსა და (ინგლისურ) მარკეტს შორის იყო. 48. პარიზის მინდვრების „პატრონი“. 49. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები. 50. ქალაქი ჩინეთში. 51. სკანდინავიური მითოლოგიის უზენაესი არსება. 52. სახელი XX ს იტალიელი მწერლის კალვინოსი.

**შვეულად**: 1. ამჯერად ვინ „იმალება“ კროსვორდის უკან (სახელი და გვარი). 2. ქალაქი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. 3. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანა. 4. ბიზნესმენის საქმიანობისათვის განკუთვნილი ფართი. 5. რა ჰქვია ფეხბურთის იტალიელ მწვრთნელს, საკის? 6. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტის სახესხვაობა. 7. ოვანეს თუმანიანის მოთხრობა. 8. მუსიკის „ნამეტნავად“ მოყვარული. 9. მავნებელი არსება. 17. გერმანული წარმოების როიალი. 18. ავტომობილის დამხმარე სათავსი. 20. ინგლის-ამერიკაში გავრცელებული სპორტული თამაში. 22. რა აკავშირებდა რომაულ მითოლოგიას (ერთდროს „დიდ“) ოქტომბრის რევოლუციასთან. 25. არაქალაქელი ადამიანის დამცინავი მოსახსენიებელი სიტყვა. 26. აგრესიული კაპასი ანუ როგორი? 29. ავტონომიური წარმონაქმნი კრასნოდარის მხარეში. 33. **იხილეთ ფოტო** და გაიხსენეთ ამ პერსონაჟის სახელი („დინასტიიდან“). 35. ახლო წარსულში ჩვენში გამომავალი აღმოსავლური ლიტერატურის კრებულების სახელი. 38. ცდისაგან დამოუკიდებლად, ცდის გარეშე (არსებული). 39. („ქრესტომათიული“) ფრანგი ფიზიკოსი . 41. ევროპის სახელმწიფო. 43. რუსი მეზღაპრე, ავტორი ზღაპრისა „სამი ბღენძი“. 44. სიტყვა, რომელიც პიროვნების სახელს ენაცვლება მხარეთა არცნობის შემთხვევაში. 45. კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი მეზღაპრე. 47. რა ერქვა გოგონას, რომელმაც ჰიტლერელ ფაშისტებს მთელი სისრულით აჩვენა საბჭოთა იდეოლოგიის ძალა?





# აფორიზმების ანთოლოგია

**712**. თუ ძაღლი არ გყავს, იშოვე მეგობარი.

**უცნობი ავტორი**

**713**. მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც ჰყავს ძაღლი, გრძნობს თავს ადამიანად.

**უცნობი ავტორი**

**714**. ძაღლი იმდენად ერთგულია, რომ დაუჯერებელიც კია, რომ ადამიანი ასეთ სიყვარულს იმსახურებდეს.

**ილია ილფი**

